ტოტალიტარული/დიქტატორული რეჟიმის გავლენა ქალების ცხოვრებაზე ავტოფიქციურ ნარატივებში (აზარ ნაფისის *ლოლიტას კითხვა თეირანში,* ზაირა არსენიშვილის *ვა, სოფელო*).

სოფიკო მახათაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ათინათ მამაცაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო მახათაძე

20.06.2025

აბსტრაქტი

ავტორიტარული რეჟიმები დიდ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რაც განსაკუთრებით აისახება ქალების ყოველდღიურობაზე. სწორედ ამ ტოტალიტარული/დიქტატორული რეჟიმების პირობებში ცხოვრების გამოცდილებაზე წერენ ქართველი მწერალი ზაირა არსენიშვილი და ირანელი ავტორი აზარ ნაფისი თავიანთ ავტოფიქციურ/ავტობიოგრაფიულ რომანებში.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ორი მწერალი ქალის ლიტერატურული ტექსტები: ზაირა არსენიშვილის *ვა, სოფელო* (2002) და აზარ ნაფისის *ლოლიტას კითხვა თეირანში* (2003). აღნიშნული ნაწარმოებების ანალიზი წარმოდგენილია პოლიტიკურ კონტექსტში ცნობილი მკვლევრების თეორიულ მიდგომებზე დაყრდნობით. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალურ წერასა და ავტოფიქციურ ჟანრს, რაც ორივე რომანს საერთო აქვს. ავტოფიქციური ჟანრის საშუალებით ავტორები აღწერენ პირად გამოცდილებებს, ხოლო ქალური წერის თავისებურებები განსაზღვრავს ამ ტექსტების უნიკალურობას. ნაშრომში ასევე გამოყენებულია ინტერტექსტუალური მიდგომა. ორივე რომანის პროტაგონისტები სხვადასხვა ცნობილი მწერლების ნაწარმოებების მკითხველები არიან და აღნიშნულ ტექსტებს განიხილავენ განსხვავებული კუთხით, რაც განპირობებულია მათი წინარე ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილებებისგან.

კვლევის შედეგად დადგინდა, თუ რამდენად უარყოფითი გავლენა ჰქონდათ ტოტალიტარულ/დიქტატორულ რეჟიმებს ადამიანების და კონკრეტულად ქალების ცხოვრებაზე. განსაკუთრებით მძიმე იყო მათთვის ცხოვრება იმ შეზღუდვების ფონზე, რომელსაც ქვეყნის მმართველები უწესებდნენ. ცენზურა და თავისუფლების არქონა განსაზღვრავდა ქალების იდენტობასა და ცხოვრების წესს. ეს სირთულეები კი სრული სიზუსტით აღწერეს თავიანთ ავტოფიქციურ რომანებში ზაირა არსენიშვილმა და აზარ ნაფისიმ.

საკვანძო სიტყვები: ქალური წერა, საბჭოთა რეჟიმი, ისლამური რეჟიმი, ინტერტექსტუალობა, ავტოფიქცია, ტოტალიტარული რეჟიმი, დიქტატორული რეჟიმი.

Abstract

Authoritarian regimes have a profound impact on public life, particularly with regard to the everyday lives of women. It is precisely about the experience of living under these totalitarian/dictatorial regimes that Georgian writer Zaira Arsenishvili and Iranian author Azar Nafisi write in their autofictional/autobiographical novels.

The present study discusses the literary texts of two female writers: Zaira Arsenishvili's *Woe is Life* (2002) and Azar Nafisi's *Reading Lolita in Tehran* (2003). The analysis is conducted within a political context and is informed by the theoretical approaches of prominent scholars. Special attention was also paid to female writing and the autofiction genre, both of which are exemplified by the two novels. The employment of the autofiction genre enables authors to articulate personal experiences, whilst the peculiarities of female authorship serve to render these texts distinctive. The study also employs an intertextual approach. The protagonists of both novels are readers of works by different famous writers and approach these texts from different perspectives, interpreting them through the lens of their personal histories and lived experiences.

The research highlights the detrimental effects that totalitarian and dictatorial regimes have had on individuals' lives, particularly those of women. The restrictions imposed by the country's rulers rendered life particularly arduous for this group. Censorship and a paucity of personal liberty both served to define the identity and lifestyle of women. These difficulties were described with complete accuracy in their auto-fiction novels by Zaira Arsenishvili and Azar Nafisi.

Key words: Feminine writing, Soviet regime, Islamic regime, Intertextuality, Autofiction, Totalitarian regime, Dictatorial regime.